

წინამდებარე ელექტრონული თანხმობით ნებაყოფლობით ვანიჭებ უფლებას სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404476189; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 66ა) (შემდგომში „მზღვეველი“):

ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის, ასევე მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით დაამუშავოს, ჩემი პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების/ ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევის მიზნით დაამუშავოს მითითებული პერსონალური მონაცემები.

ბ) პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დაამუშავოს ჩემ მიერ მოწოდებული პერსონალური ინფორმაცია, ასევე გადასცეს აღნიშნული მონაცემები დაკავშირებულ (აფილირებულ), ურთიერთდამოკიდებულ კომპანიებს/პირებს იგივე მიზნებისთვის.

გ) დამატებით ვადასტურებ, რომ ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია არის ჩემს მიერ წარმოდგენილი. ამასთან ყველა დოკუმენტი არის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული და მოცემული პერიოდისათვის მოქმედი დოკუმენტი.

ამასთან, ვადასტურებ, რომ:

დ) ჩემი პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩემ მიერ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგ“ -სათვის მიწოდებას ვახორციელებ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე.

ე) მივიღე სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების და ჩემი, როგორც მონაცემთა სუბიექტის კანონმდებლობით - "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მონიჭებული უფლებების, კერძოდ, მონაცემთა დამუშავებლისგან ჩემი მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე.